



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მინდვრის თაგვი

მინდვრის თაგვი (*Apodemus agrarius*), ძუძუმწოვარი ცხოველი მღრღნელების რიგიდან (*Rodentia*), თაგვისებრთა ოჯახიდან (*Muridae*). სხეულის სიგრძეა 85–125 მმ, კუდის სიგრძე – 68–89 მმ, ტერფის სიგრძე – 18,5–22 მმ, ყურის სიმაღლე – 11–13,5 მმ, მასა – 14,2–28 გ. სხეულის ზედა ნაწილის შეფერილობა მონიურო-რუხია, ზოგჯერ ჟანგმიწის ელფერი დაჰკრავს. ზურგზე შავი ან მოყავისფრო-შავი ზოლი გასდევს. აქვს უხეში ბეწვი. ქვედა მხარე ბაცია, ძირები – მუქი ნაცრისფერი, ფართოდ გავრცელებული პალეარქტიკული სახეობაა. არეალი დანაწევრებულია ევროპა-სამხრ. ციმბირულ და შორეულ აღმ.-ჩინურ მონაკვეთებად. ჩრდ. კავკ. მონაკვეთი შედგება რამდენიმე ლოკალური სუბპოპულაციისაგან. სამხრ. საქართველოში გავრცელებულია აფხაზეთის დაბლობში, ამჟამად გვხვდება სამეგრელოშიც. საქართველოში ნაპოვნია ზ. დ. 300 მ-მდე, ჩრდ. კავკასიაში – 1000 მ-მდე, სხვაგან კი 2000 მ-მდეც ადის. ბინადრობს ძირითადად ხშირი ბალახითა და განვითარებული ბუჩქნარით დაფარულ ღია ნოტიო ლანდშაფტებში, გვხვდება ტყის ბიოტოპებშიც, ტყის პირებსა და ბუჩქნარში. მრავლდება წელიწადში 3–4-ჯერ, ბადებს 2–7 წრუნუნას. სიცოცხლის ხანგრძლივობა 2–3 წელია. ბინადრობს თავის ამოთხრილ სოროში, ხის ფესვების ქვეშ და ქვაცირებში. იკვებება როგორც მცენარეული, ისე ცხოველური საკვებით. არის 100-მდე სხვადასხვა ზოონომური დაავადების მატარებელი. მაღალი რიცხოვნობისას დიდი ზიანი მოაქვს სოფლის მეურნეობისთვის. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ დაცვას არ საჭიროებს.

ა. ბუხნიკაშვილი
